


სამშობლო, დედის ქუჩა, არ გაიცვლება სხვაგვარად...



1990

შ ა ბ ა ტ ი

25

ა ბ ვ ი ს ტ მ

№102 (103) 9

შანი 8 კაპ.

გაზეთი გამოდის 1990 წლის 1 მარტიდან

საქართველო  
ქართული  
ხალხური

საბ. კვ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო  
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ,  
НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ქირითაჲ განთავსებული) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღმნიშნა:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ქირითაჲ განთავსებული) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 88-ე, 91-ე, 92-ე, 96-ე და 97-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 88. სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოსა და ადგილობრივ საბჭოებში სახალხო დეპუტატთა არჩევნები - ნიშნება არაუგვიანეს ოთხი თვისა შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილების ვადის გახელმძღვანელებს.

აუბაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაეს საბჭოებსა და ადგილობრივ საბჭოებში სახალხო დეპუტატთა არჩევნების ვადებსა და დანიშნვის წესს განსაზღვრავს ამ ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები და კანონები.

„მუხლი 91. სახალხო დეპუტატთა არჩევნები ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლებების საფუძველზე უარული კენჭისყრით.

„მუხლი 92. სახალხო დეპუტატთა არჩევნები საყოველთაო: არჩევნის უფლება აქვს საქართველოში მუდმივად მცხოვრებ საქართველოს სსრ მოქალაქებს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა.

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, ხოლო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წევრად — 28 წელს მიღწეული, საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს სსრ მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოურია არანაკლებ ათი წლისა.

საქართველოს სსრ მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს სახალხო დეპუტატთა ორზე მეტი საბჭოს წევრი. ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე აუბაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების შემადგენლობაში, გარდა მათი თავმჯდომარეებისა, მათი მოადგილეები საქართველოს სსრ, აგრეთვე აუბაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მმართველობის სხვა რესპუბლიკურ ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პირნი, რომლებიც შედიან ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში,

ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უწყვეტობა, განყოფილება და სამმართველოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, მართლმსაჯულების ორგანოებში არჩეული პირები, საქართველოს სსრ, აგრეთვე აუბაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრები და სახელმწიფო არბიტრები, საქართველოს სსრ პროკურორი, მისი ქვემდგომი პროკურორები და მათი მოადგილეები, საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები არ შეიძლება იმავე დროს იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების წევრები.

არჩევნებში არ მონაწილეობენ უსიკეთურად დაადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ კმედუნაროდ ცნო, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფებიან.

„მუხლი 96. სახალხო დეპუტატობის კანდიდატების დასახელების უფლება აქვთ საქართველოს სსრ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს, მათ საარჩევნო ბლოკებს, რომელთა მოქმედება ვრცელდება საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე, და ამომრჩეველთა ჯგუფებს განცხადების წარდგენის გზით.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატები რეგისტრაციის მომენტთან თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ საარჩევნო კამპანიაში.

სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. ამასთან ერთად, არჩევნებში მონაწილე მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს და დამოუკიდებელ დეპუტატობის კანდიდატებს შეუძლიათ შექმნან საარჩევნო ფონდები კანონით დადგენილი წესით.

„მუხლი 97. სახალხო დეპუტატთა არჩევნები მზადდება ღიად და საჭაროდ.

არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება საქართველოს სსრ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლეგიატების, ამომრჩეველთა ჯგუფების წარმომადგენელთაგან.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუშბარძია.  
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 18 აგვისტო.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსთან არსებული 80-იანი წლებისა და 80-იანი წლების დადგენილების პარტიულ-გეოგრაფიკული რეაბილიტაციის მსხვერპლთა გიგანტური სამართლიანობის აღდგენის ხაზით კომისიის დაგეგმვის დაგეგმვისა და ამ კომისიის შემადგენლობაში მდივანების შეტანის შესახებ.

ახალ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პარტიული-გეოგრაფიკული თანაბრების საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 18 აგვისტო.

დამტკიცების შესახებ.  
1989 წლის 21 დეკემბრისა — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსთან არსებული 30-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდგენის პერიოდში მომზადებული რეპრეზენტების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუშბარძია.  
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

მრეწველობა — 90

ხარისხების მიხედვით

ინგოლის ჩაის ფაბრიკამ მიმდინარე სეზონში უნდა დაამზადოს 4.680 ტონა ნედლეული. ფაქტიურად დღეისათვის დაამზადებულია 4051 ტონა, რომლის პირველი ხარისხის პროცენტული მაჩვენებელი 50-ს აღემატება. გადამტეხილია შესრულებული პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები. გამოშვებულია 700 ტონა პროდუქცია. ასევე შესრულებულია პროდუქციის მიწოდების გეგმები.





